



act

პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებების კვლევა

კვლევის შედეგების პრეზენტაცია

მომზადებულია „ეისითის“ მიერ:
„გაეროს განვითარების პროგრამისთვის“ (UNDP)

დეკემბერი, 2015

თბილისი, საქართველო

წინასიტყვაობა

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებების კვლევის ანალიტიკურ ანგარიშს. აღნიშნული ანგარიში მომზადებულია „ეისითის“ მიერ UNDP-სთვის.

კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნება პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმის ეფექტურობის შესაფასებლად, ასევე ცნობადობის ასამაღლებელი და საკომუნიკაციო კამპანიის შემუშავებისთვის.

ანგარიშში წარმოდგენილია ჯამური მონაცემები, ასევე რეგიონის, ასაკობრივი ჯგუფების და სქესის მიხედვით გაანალიზებული მონაცემები.

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

ძირითადი მიზანი

პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოების შეხედულებების და დამოკიდებულებების შესწავლა.

კვლევის ამოცანები

- ⇒ პროფესიული განათლების და გადამზადების ცნობადობა
- ⇒ მიღებული განათლება და პროფესიული განათლებისა და გადამზადების გამოცდილება
- ⇒ პროფესიული განათლებისა და გადამზადების მიმართ დამოკიდებულება
- ⇒ მედიის მოხმარება
- ⇒ დემოგრაფიული და სოციო-ეკონომიკური მახასიათებლები

კვლევის ჩატარების ვადები/თარიღი

2015 წლის ნოემბერი-დეკემბერი

მეთოდი

რაოდენობრივი კვლევა

კვლევის ტექნიკა

პირისპირ ინტერვიუ

სამიზნე ჯგუფი

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს მაცხოვრებლები

ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა

2801 დასრულებული ინტერვიუ

შერჩევის მეთოდი

ორსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა წინასწარი სტრატეგიკაციის მეთოდით

კვლევის არეალი

საქართველო


ინტერვიუს ხანგრძლივობა

25-30 წუთი

პროფესიული განათლებისა და
გადამზადების ცნობადობა

პროფესიული განათლებისა და გადამზადების ცნობადობა

გსმენიათ თუ არა პროფესიული განათლებისა და გადამზადების შესახებ?




ზოგადად, პროფესიული განათლების და გადამზადების ცნობადობა საქართველოს მოსახლეობაში მაღალია - ამის შესახებ მოსახლეობის უმრავლესობას (88%) სმენია.

შაზა: - N=2801

პროფესიული სწავლებების / პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღების სასურველი წყაროები

თქვენ რომ მოგდომებოდათ პროფესიული განათლების დაუფლება, საიდან მიიღებდით ინფორმაციას მსგავსი სწავლებების / პროგრამების შესახებ?




პროფესიული სწავლებების / პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღების ყველაზე სასურველი წყარო ტელევიზიაა (62%). ტელევიზიის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ინტერნეტს (37%) და ნაცნობ-მეგობრებს (28%).

↑
↓
ბაზა: - N=2801

საგანმანათლებლო რესურს ცენტრის საინფორმაციო ან პროფორიენტაციის სამსახურის ცნობადობა

გსმენიათ თუ არა საგანმანათლებლო რესურს ცენტრის საინფორმაციო ან პროფორიენტაციის სამსახურის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას პროფესიული განათლების შესახებ?




საგანმანათლებლო რესურს ცენტრის საინფორმაციო ან პროფორიენტაციის სამსახურის შესახებ სმენია საქართველოს მოსახლეობის 42%-ს, ხოლო გამოკითხულთა ნახევარზე მეტს (58%) არ სმენია.

↑
↓
ბაზა: - N=2801

პროფესიული განათლების რეფორმების შესახებ საინფორმაციო კამპანიების შეფასება

თქვენი აზრით, რამდენად საკმარისია ის საინფორმაციო კამპანია პროფესიული განათლების რეფორმის შესახებ, რაც მიმდინარეობს?




პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ საინფორმაციო კამპანიები არასაკმარისია რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილისთვის (44%), ხოლო 38% თვლის, რომ ეს კამპანიები მეტ-ნაკლებად საკმარისია. ათიდან ერთი ადამიანი (11%) თვლის, რომ მიმდინარე საინფორმაციო კამპანია საკმარისია.

↑
↓
ბაზა: - N=1411

პროფესიული განათლებისა და
გადამზადების მიმართ დამოკიდებულება

პროფესიულ განათლებასა და გადამზადებასთან დაკავშირებული ასოციაციები

პროფესიულ განათლებასა და გადამზადებასთან დაკავშირებული ასოციაციები




რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში მოხდა იმის დადგენა, თუ რასთან ასოცირდება „პროფესიული განათლების და გადამზადების“ ტერმინი. ტერმინი „პროფესიული განათლება და გადამზადება“ ყველაზე ხშირად ასოცირდება ყოფილ პროფ-ტექნიკუმთან (35%), ასევე სკოლის შემდგომ არა უმაღლეს განათლებასთან (30%). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილ პროფ-ტექნიკუმთან ასოცირების ხარისხი შედარებით მაღალია 45 წლის ზემოთ მოსახლეობაში. 15-34 წლის მოსახლეობაში კი „პროფესიული განათლება და გადამზადება“ ყველაზე მეტად სკოლის შემდგომ არა უმაღლეს განათლებასთან ასოცირდება.

შაზა: - N=2801

პროფესიული განათლების გამოსადეგარობა ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში

თქვენ აღნიშნეთ, რომ სწავლობთ ან უკვე ისწავლეთ პროფესიულ სასწავლებელში, გამოგადგათ თუ არა მიღებული განათლება




რესპონდენტთა უმრავლესობა (66%) თვლის, რომ მათ მიერ მიღებული პროფესიული განათლება გამოადგათ ზოგადად ცხოვრებაში. გამოკითხულთა ნახევარზე ცოტა მეტისთვის (53%) პროფესიული განათლება სასარგებლო აღმოჩნდა მათი პროფესიული საქმიანობისთვის. რესპონდენტთა 18% მიიჩნევს, რომ პროფესიული განათლება დაეხმარა შემდგომი განათლების მიღებაში.

P.S. (დიაგრამაზე ასახული პროცენტული მაჩვენებლები ასახავს იმ ადამიანთა ხვედრით წილს, რომლებიც მიიჩნევენ რომ პროფესიული განათლება დაეხმარათ დებულებებში ჩამოთვლილ საკითხებში)

↕
ბაზა: - N=802

რეკომენდაცია სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებმაც მიიღეს საბაზისო საშუალო განათლება

დღესდღეობით, ჩამოთვლილიდან რომელ საგანმათლებლო გზას ურჩევდით იმ ახალგაზრდა ადამიანს, რომელმაც უკვე მიიღო საბაზისო სასკოლო განათლება (9 კლასი)?




კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის საბაზისო განათლების მიღების შემდეგ ყველაზე სასურველ ქცევად **საშუალო სკოლის დასრულება და უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება** განიხილება - გამოკითხულთა ნახევარზე ცოტა მეტი (57%) სწორედ ამას ურჩევდა ახალგაზრდას საბაზისო სასკოლო განათლების დასრულების შემდგომ. საგულისხმოა, რომ გამოკითხულთა თითქმის მეხუთედისთვის (19%) საბაზისო სასკოლო განათლების მიღების შემდგომი სასურველი გზა საშუალო სკოლის დასრულება და პროფესიული განათლების მიღებაა.

↑
↓
ბაზა: - N=2801

პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულების და უმაღლესი განათლების მქონე პირთა შედარება სამომავლო დასაქმების პოტენციალის კუთხით

თქვენი აზრით, პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებს დასაქმების როგორი შანსი აქვთ უმაღლესი განათლების მქონე პირებთან შედარებით?




რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ საქართველოს მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი (45%) თვლის, რომ უმაღლესი განათლების მქონე პირებთან შედარებით პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულებს დასაქმების უფრო ნაკლები შანსი აქვთ. საინტერესოა, რომ მოსახლეობის მესამედი (33%) თანაბრად აფასებს უმაღლესი განათლების მქონე პირთა და პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა შანსებს დასაქმების კუთხით. ხოლო 17% მიიჩნევს, რომ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებს დასაქმების უფრო მაღალი შანსები აქვთ.

შედეგები
შედეგები

შანსი: - N=2801

პროფესიული განათლების პრესტიჟულობის შეფასება

თქვენი აზრით, რამდენად პრესტიჟულია პროფესიული განათლება?




პროფესიული განათლება უმეტესწილად ფასდება, როგორც პრესტიჟული - მას მოსახლეობის უმრავლესობა (61%) როგორც პრესტიჟულს, ხოლო 5% როგორც ძალიან პრესტიჟულს აფასებს. უნდა აღინიშნოს, რომ რადიკალურად ნეგატიური დამოკიდებულება მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილში ვლინდება (2% - ძალიან არაპრესტიჟული), თუმცა მოსახლეობის მეოთხედზე ცოტა მეტი (27%) პროფესიულ განათლებას არაპრესტიჟულად მიიჩნევს.

↑
↓
ბაზა: - N=2801

პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შეფასება

თქვენი აზრით, ბოლო წლებში რამდენად იცვლება საზოგადოების დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ?




საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (62%) თვლის, რომ პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება **იცვლება დადებითად**, თუმცა ეს ცვლილება ნელი ტემპებით მიმდინარეობს. მხოლოდ 8% მიიჩნევს, რომ ბოლო წლებში საზოგადოების დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ **ნეგატიურად იცვლება**.

↑
↓
ბაზა: - N=2801

საჯარო და კერძო პროფესიულ სასწავლებლების კონკურენტუნარიანობის აღქმა

თქვენი აზრით, რამდენად კონკურენტუნარიანია საჯარო/კერძო პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული საქართველოს შრომის ბაზარზე?




საჯარო პროფესიულ სასწავლებელს კონკურენტუნარიანად აფასებს გამოკითხულთა უმრავლესობა (76%), მაშინ, როდესაც კერძო სასწავლებელს კონკურენტუნარიანად მიიჩნევს მოსახლეობის მხოლოდ ნახევარზე ცოტა მეტი (56%), რაც იმის ვარაუდის საფუძველს გვაძლევს, რომ მოსახლეობის აღქმაში საჯარო სასწავლებლები უფრო კონკურენტუნარიანად აღიქმება.

↑
↓
ბაზა: - N=2801

მედიის მოხმარება

ინფორმაციის მიღების წყაროები

გთხოვთ მითხრათ, გამოიყენეთ თუ არა თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი წყარო ინფორმაციის მისაღებად გასულ კვირაში?




კვლევის შედეგად ირკვევა, რომ საქართველოს მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო ტელევიზიაა - გამოკითხულთა 88%-ს ბოლო კვირის მანძილზე გამოუყენებია ტელევიზია. საინტერესოა, რომ ტელევიზიის შემდეგ ახალი ამბების მიღების პოპულარული წყაროა სოციალური გარემოცვა (მეზობლები, მეგობრები, კოლეგები) - კვლევის მონაწილეთა 57% ინფორმაციას სწორედ ამ ხერხით იღებს. საინტერესოა, რომ ინფორმაციის მისაღებად ინტერნეტ სივრცეს მოსახლეობის თითქმის ნახევარი (49%) იყენებს. ბეჭდური მედია, ჟურნალები და რადიო ინფორმაციის მიღების წყაროებს ნაკლებად წარმოადგენს (მათ გამოკითხულთა 13%, 10% და 8% იყენებს, შესაბამისად).

↑
↓
ბაზა: - N=2801

სატელევიზიო არხების ზოგადი მოხმარება

გთხოვთ მითხრათ, რომელ სატელევიზიო არხებს უყურებთ ზოგადად




მოცემული კვლევის ფარგლებში ასევე ირკვევა, მოსახლეობის თუ რა ნაწილი უყურებს ტელევიზორს ზოგადად და რომელ სატელევიზიო არხებს უყურებენ ისინი ყველაზე ხშირად. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის 7% საერთოდ არ უყურებს ტელევიზორს. რაც შეეხება კონკრეტულ არხებს, „იმედს“ და „რუსთავი2“-ს ზოგადი მოხმარების ყველაზე მაღალი და თითქმის მსგავსი მაჩვენებელი დაუფიქსირდა (მათ შესაბამისად მოსახლეობის 80% და 79% უყურებს).

↑
↓
ბაზა: - N=2801

რადიო არხებით ზოგადი სარგებლობა

გთხოვთ მითხრათ, რომელ რადიო არხებს უსმენთ ზოგადად




შენიშვნა: ცხრილში მოცემულია ის რადიო არხები, რომელთა პროცენტული მაჩვენებელი ჯამურ სურათში 1% და მეტია.

რაც შეეხება რადიოს, როგორც მედია საშუალებას, კვლევის მონაცემების გაანალიზების შედეგად აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი (87%) საერთოდ არ უსმენს რადიო არხებს. რადიო არხების ზოგადი სარგებლობის მიხედვით კი რადიო არხი „არ დაიდარდო“ პირველ ადგილზე იმყოფება.

↑
↓
ბაზა: - N=2801

გაზეთების კითხვის ჩვევა / ზოგადად

გთხოვთ მითხრათ, რომელ გაზეთებს კითხულობთ ზოგადად



შენიშვნა: ცხრილში მოცემულია ის გაზეთები, რომელთა პროცენტული მაჩვენებელი ჯამურ სურათში 1% და მეტია.


კვლევის მონაცემებით, მოსახლეობის უმრავლესობა (82%) საერთოდ არ კითხულობს გაზეთებს. რაც შეეხება კონკრეტულ გაზეთებს, გამოკითხულთა 12% კითხულობს „კვირის პალიტრას“ და 5% კითხულობს „ასავალ-დასავალს“.

↑
↓
ბაზა: - N=2801


დემოგრაფია და სოციო-ეკონომიკური
მახასიათებლები

დემოგრაფია- სქესი/ასაკი

სქესი




ასაკი



↑
↓
ბაზა: - N=2801

დასაქმების მდგომარეობა

ქვემოთ ჩამოთვლილიდან რა აღწერს ყველაზე უკეთ თქვენს სამუშაო სტატუსს?




საქართველოს მოსახლეობის თითქმის მესამედი (31%) აცხადებს, რომ უმუშევარია, თუმცა მეოთხედი (23% სამუშაოს ძიებაშია, ხოლო დანარჩენი 8% ამჟამად არ ეძებს სამუშაოს. რაც შეეხება დასაქმებულებს, მოსახლეობის 14% სრულ განაკვეთზეა დასაქმებული, 2% კი ნახევარ განაკვეთზე მუშაობს. 11% დიასახლისი/სახლში დასაქმებულია. კვლევაში მონაწილეთა 17% პენსიაზეა გასული

↑
↓
ბაზა: - N=2801

საქმიანობის სექტორი

რომელ სექტორში მუშაობთ?




დასაქმებულთა შორის უმეტესობა განათლების სექტორშია დასაქმებული (19%), 11% მომსახურების სხვა სფეროებში მუშაობს; საბითუმო/საცალო ვაჭრობა, მოტოციკლეტების/ მანქანების შეკეთებაში, ასევე, საჯარო ადმინისტრაცია/თავდაცვა/სავალდებულო სოციალურ უსაფრთხოებაში დასაქმებული მოსახლეობის პროცენტული წილი 9%-ია. ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაში 8%-ია დასაქმებული. სფეროების დანარჩენი პროცენტული მაჩვენებელი მოცემულია გრაფიკში.

↑
↓
ბაზა: - N=678

განათლების შესაბამის სფეროში დასაქმება

მუშაობთ თუ არა ამჯამად თქვენი განათლების შესაბამის სფეროში



საინტერესოა, რომ დასაქმებული მოსახლეობის 49% საკუთარი განათლების შესაბამის სფეროშია დასაქმებული, 51% კი არ თვლის ამჟამინდელი დასაქმების სფეროს საკუთარი განათლების შესაბამისად.

↑↓
ბაზა: - N=678